საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/132

31/03/2022

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართით განსაზღვრულ სამინისტროს სისტემის დანაყოფებს დაევალოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამის ვადაში შესრულება.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძეს.
4. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის

სამოქმედო გეგმა

მიზანი 1.		სამინისტროს სისტემაში შშმ პირთა უფლებების დაცვის პოლიტიკის განვითარება						
ამოცანა 1.1.		შშმ პირთა უფლებათა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა/განვითარება						
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
1.1.1.	სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სტრატეგიის შემუშავება	1.1.1.1.	სამინისტროს სისტემაში შემუშავებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სტრატეგია	სტრატეგიის დოკუმენტი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები, ტერიტორიული ორგანოები, სსიპ-ები და სსდ-ები	IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
1.1.2.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სტრატეგიის საფუძველზე წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება	1.1.2.1.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სტრატეგიის საფუძველზე შემუშავებულია სამოქმედო გეგმა	სამოქმედო გეგმის დოკუმენტი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები, ტერიტორიული ორგანოები, სსიპ-ები და სსდ-ები	IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა

მიზანი 2.		შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა						
ამოცანა 2.1.		ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად						
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
2.1.1	სამართალწარმოების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ცნობიერების ამაღლება	2.1.1.1	ჩატარებულია მინიმუმ 2 ტრენინგი ტერიტორიული ერთეულების მენეჯერებისა და გამომძიებლებისთვის	შიდაუწყებრივი ანგარიში	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	II-III კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
2.1.2	შშმ ქალების სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავებისთვის ტრენინგების ჩატარება	2.1.2.1	შშმ ქალების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სამართალდამცავებისთვის ჩატარებულია მინიმუმ 2 ტრენინგი	შიდაუწყებრივი ანგარიში	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	III-IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
2.1.3.	შშმ თემის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა	2.1.3.1	ჩატარებულია მინიმუმ 5 სამუშაო შეხვედრა	შიდაუწყებრივი ანგარიში	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	III-IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა

მიზანი 3.		შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ჩამოყალიბება						
ამოცანა 3.1.		შშმ პირთა გაძლიერება მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების დროს განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით						
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/ უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო

3.1.1.	მონიტორინგი უწყებრივ საგანგებო მართვის გეგმებში შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების გათვალისწინების კუთხით	**3.1.1.1.**	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შშმ პირთა საჭიროებების ჭრილში შეფასებულია შესაბამისი ორგანოების მიერ წარმოდგენილი საგანგებო მართვის ყველა გეგმა	შეთანხმებული დოკუმენტები და შესაბამისი დასკვნები	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
3.1.2.	მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება	**3.1.2.1.**	ჩატარებულია მინიმუმ 6 ტრენინგი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
3.1.3.	შშმ პირთა სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში	**3.1.3.1.**	ჩატარებული სულ მცირე 3 ტრენინგი რესურს სკოლებში შშმ ბავშვებისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით	ტრენერების მიერ მომზადებული ტრენინგების ანგარიშები	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
მიზანი 4.		**სამინისტროს სერვისებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**						
ამოცანა 4.1.		**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებაზე მორგებული კომუნიკაციისა და ინფორმაციაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა**						
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**
4.1.1.	საკონსულტაციო კომპანია IRC-ის მიერ 2021 წელს მომზადებული რეკომენდაციების შესრულების დაწყება	**4.1.1.1.**	გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, საკონსულტაციო კომპანია IRC-ის მიერ მომზადებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების გაუმჯობესება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების თბილისის ცენტრში“ 2021 წლის რეკომენდაციების 80% შესრულებულია	შიდაუწყებრივი ანგარიში	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა

4.1.2	ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა ვიდეო-ზარით მომსახურების მოდელის დანერგვა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის „ქოლ ცენტრში“	**4.1.2.1.**	დანერგილია ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა ვიდეო-ზარით მომსახურების მოდელი/სერვისი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის „ქოლ-ცენტრში“	შიდაუწყებრივი ანგარიში	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		II კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
4.1.3.	შშმ პირების ინფორმირება სამინისტროში ინფორმაციის გამოთხოვისა და მიღების სტანდარტებთან დაკავშირებით	**4.1.3.1.**	სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.police.ge) ადაპტირებული ფორმით განთავსებულია შშმ პირთა გზამკვლევი სამინისტროში ინფორმაციის ხელმოსაწვდომობის სტანდარტებთან დაკავშირებით	შიდაუწყებრივი ანგარიში	ადმინისტრაცია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	III-IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
4.1.4.	სამინისტროს სისტემის საქმისწარმოების ფუნქციით აღჭურვილი დანაყოფების ბრაილის შრიფტის მცოდნე პირისა და სურდო თარჯიმნით უზრუნველყოფა	**4.1.4.1.**	განხორციელებულია ხელშეკრულებების რევიზია და საჭიროების შემთხვევაში განახლებულია სურდო თარჯიმნისა და ბრაილის შრიფტის მცოდნე პირის მომსახურების მიზნით	შიდაუწყებრივი ანგარიში	სამინისტროს სისტემაში არსებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
4.1.5.	შსს მომსახურების სააგენტოს მომსახურების სერვისის მიწოდების სტანდარტში შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტების დანერგვა	**4.1.5.1.**	ექსპერტის მიერ შემუშავებული შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტების შესაბამისად თანამშრომლებისთვის დამტკიცებულია შესაბამისი წესი	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		II კვარტალი	ადმინისტრაციული რესური

4.1.6.	შსს მომსახურების სააგენტოში ყრუ პირისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების პრაქტიკული გამოცდის პირველ და მეორე ეტაპზე დასრულების შემდგომ მიღებული შედეგის ჟესტური ენის საშუალებით შეტყობინების სისტემის დანერგვა	**4.1.6.1.**	შსს მომსახურების სააგენტოში დანერგილია ყრუ პირისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების პრაქტიკული გამოცდის პირველი და მეორე ეტაპის დასრულების შემდგომ მიღებული შედეგის ჟესტური ენის საშუალებით შეტყობინება	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		II კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
4.1.7.	შშმ ბავშვების ცნობიერების ამაღლება მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესთან დაკავშირებით	**4.1.7.1.**	3 რესურს სკოლაში შშმ ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია საინფორმაციო ბროშურები საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესის შესახებ	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	II კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
მიზანი 5.	**სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა საჭირო უნარების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის**							
ამოცანა 5.1.	**სამინისტროს მოსამსახურეთა კომპეტენციის ზრდა შშმ პირთა საკითხებზე**							
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	

5.1.1.	შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომელთა გადამზადება შშმ პირებთან კომუნიკაციისა და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ	**5.1.1.1.**	გადამზადებულია საპატრულო პოლიციის 2200-მდე პატრულ-ინსპექტორი შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ	შიდაუწყებრივი ანგარიში სოციალური მედია დასწრების აღრიცხვის ფურცელი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი სსიპ შსს აკადემია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
		5.1.1.2.	მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია მინიმუმ 2 ტრენინგი შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე	შიდაუწყებრივი ანგარიში დასწრების აღრიცხვის ფურცელი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი მიგრაციის დეპარტამენტი სსიპ შსს აკადემია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
		5.1.1.3.	ექსპერტის მიერ კომუნიკაციების სტანდატები შემუშავებულია და ამ სტანდარტების შესაბამისად შსს მომსახურების სააგენტოს მოსამსახურეებისთვის ჩატარებულია 4 ტრენინგი	შიდაუწყებრივი ანგარიში სოციალური მედია დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
		5.1.1.4.	ჩატარებულია ტრენინგები დროებითი მოთავსების იზოლატორების მოსამსახურეთათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაკავებულებთან კომუნიკაციის, ქცევისა და მოპყრობის სტანდარტის შესახებ, რომლის ფარგლებშიც გადამზადებულია მინიმუმ 60 თანამშრომელი	შიდაუწყებრივი ანგარიში სოციალური მედია დასწრების აღრიცხვის ფურცელი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი სსიპ შსს აკადემია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
		5.1.1.5.	გადამზადებულია 55 მეხანძრე-მაშველი შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ	შიდაუწყებრივი ანგარიში სოციალური მედია დასწრების აღრიცხვის ფურცელი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი სსიპ შსს აკადემია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა

		5.1.1.6.	ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში გადამზადებულია 200 მართლწესრიგის ოფიცერი შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ	შიდაუწყებრივი ანგარიში სოციალური მედია დასწრების აღრიცხვის ფურცელი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი; ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი სსიპ შსს აკადემია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
5.1.2.	პერსონალური ასისტენტობის შესახებ მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება	**5.1.2.1.**	შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად ასისტენტობის გაწევის მიზნით, შსს მომსახურების სააგენტოს მოსამსახურეებისთვის ჩატარებულია 2 ტრენინგი	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო	საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
5.1.3.	შსს აკადემიის ფსიქოლოგთათვის და ინსტრუქტორთათვის ტრენერთა ტრენინგის ჩატარება შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ	**5.1.3.1.**	გადამზადებულია მინიმუმ 15 ფსიქოლოგი და ინსტრუქტორი	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ შსს აკადემია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	II კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
5.1.4	შსს მოსამსახურეთა გადამზადება შემუშავებული სასწავლო მოდულის მიხედვით: „შშმ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ“	**5.1.4.1.**	ჩატარებულია მინიმუმ 5 ტრენინგი	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ შსს აკადემია		III – IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
5.1.5	ცნობიერების ამაღლება სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის შშმ პირებთან კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების თაობაზე	**5.1.5.1.**	გადამზადებულია 109 თანამშრომელი, რომელთა უშუალო მოვალეობას წარმოადგენს კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა და განმცხადებელთან კომუნიკაცია	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	შსს ადმინისტრაცია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა
მიზანი 6.	**არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა**							

ამოცანა 6.1.		შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურის ადაპტირება						
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
6.1.1.	ფიზიკური გარემოს ან/და ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების თბილისის ცენტრში	**6.1.1.1.**	გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, საკონსულტაციო კომპანია IRC-ის მიერ მომზადებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების გაუმჯობესება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების თბილისის ცენტრში“ 2021 წლის რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებულია	შიდაუწყებრივი ანგარიში	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
6.1.2.	სამინისტროს არსებული ინფრასტრუქტურის შესწავლა/აუდიტი და შენობა-ნაგებობების ადაპტირება ან უნივერსალური დიზაინით უზრუნველყოფა	**6.1.2.1.**	სამინისტროში არსებული ინფრასტრუქტურის ნაწილი შესწავლილია, გამოვლენილია საჭიროებები და ნაწილი ადაპტირებულია ან უზრუნველყოფილია უნივერსალური დიზაინით	შიდაუწყებრივი ანგარიში	ლოჯისტიკის დეპარტამენტი		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
6.1.3.	კასპის, ხულოს, ბორითისა და ონის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი (მშენებარე) შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის უზრუნველყოფა	**6.1.3.1.**	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი (მშენებარე) შენობა-ნაგებობის (კასპის, ხულოს, ბორითისა და ონის) მისაწვდომობა უზრუნველყოფილია	ახალი შენობების არქიტექტურული პროექტები შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
6.1.4.	შსს მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის გარე პერიმეტრის და შენობა-ნაგებობების შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით ადაპტირება	**6.1.4.1.**	პანდუსების დაბოლოებები დაკავშირებულია გზის ზედაპირთან (ერთგვაროვანი გადასასვლელის უზრუნველყოფა)	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		6.1.4.2.	პანდუსებზე დამაგრებულია ანტისლიპერები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		II-III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		6.1.4.3.	შენობა-ნაგებობებთან მისასვლელი კიბეების საფეხურების კიდეებზე დამონტაჟებულია დაცურების საწინააღმდეგო კონტრასტული მეტალის ან რეზინის კანტები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		II-III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი

		6.1.4.4.	შენობა-ნაგებობების შესასვლელიდან შიდა სივრცეში დამონტაჟებულია დაქტილური ბილიკები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		6.1.4.5.	საინფორმაციო დაფები/ აღმნიშვნელები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		II-III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		6.1.4.6.	შენობა-ნაგებობები შესასვლელ შუშის კარებებზე უსაფრთხოების სტიკერები დამაგრებულია/დამონტაჟებულია, ან შუშის მანიფესტაციები (მოჭიქული უბნების ხაზგასასმელად) უზრუნველყოფილია	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		II-III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		6.1.4.7.	შშმ პირებისთვის საპირფარეშო ადაპტირებულია	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		6.1.4.8.	შენობა-ნაგებობების შიდა სივრცის პირველ სართულზე, კონსულტაციებისა და სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით, შექმნილია შშმ პირებისთვის ადაპტირებული, საერთო სივრცისგან იზოლირებული სივრცე	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		6.1.4.9.	შენობა-ნაგებობებში შესასვლელ კიბეებზე ადაპტირებულია მოაჯირები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
6.1.5.	შსს მომსახურების სააგენტოს ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში მდებარე შენობა-ნაგებობების შშმ პირების საჭიროებებისთვის მისაწვდომობის შეფასება	6.1.5.1.	შსს მომსახურების სააგენტოს ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში მდებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის მდგომარეობა შეფასებულია და მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტი	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს მომსახურების სააგენტო	საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი	IV კვარტალი	დონორული მხარდაჭერა

6.1.6.	დაცვის პოლიციის დეპარტამენტში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირება	6.1.6.1	დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში მოწყობილია შესაბამისი პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი და ე.წ. ტურინიკეტი	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი		II კვარტალი	ადმინისტრაციული რესურის
		6.1.6.2	დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დეპარტამენტის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასაწყობო ანგარში მოწყობილია პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი		III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
6.1.7.	დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირება	6.1.7.1.	ადაპტირებულია დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის გორის დროებითი მოთავსების იზოლატორის (განყოფილება) შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად და გაუმჯობესებულია ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №1 და №2 დროებითი იზოლატორების ადაპტაციის ხარისხი	შიდაუწყებრივი ანგარიში	დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
მიზანი 7.		**შშმ პირთა სრული და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფა**						
ამოცანა 7.1.		**სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა**						
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**
7.1.1.	შსს-სთან მოქმედი შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფთან შეხვედრების ჩატარება	7.1.1.1.	ჩატარებულია მინიმუმ 4 საკონსულტაციო შეხვედრა შშმ პირების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით	შეხვედრების ოქმები	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა